ვარიანტი №1




HOTEL




P
სასტროგი


P
სასტუმრო


P.




H
O
T
E
L
მარკე


HOTEL











ვარიანტი №2







ვარიანტი №3

ფასადი 1-11 ღერძებში

აფხაზის ქუჩის მხრიდან



ფასადი დ-ა ღერძებში

აბოვიანის ქუჩის მხრიდან



ფასადი 10-1 ღერძებში

ეზოს მხრიდან



ფასადი ა-ბ ღერძებში

აფხაზის II ჩიხის მხრიდან






P.




HOTEL





ქ. თბილისში, კ. აფხაზის (ყოფ. ლესელიძის) II ჩიხი №9-ში მდებარე შენობის არქიტექტურულ-მხატვრულ თავისებურებათა ზოგადი ანალიზი და შეფასება



ხელოვნებათმცოდნე: ქ. დარჩია

თბილისი
2014

ქ. თბილისში, კ. აფხაზის (ყოფ. ლესელიძის) II ჩიხი №9-ში მდებარე შენობის არქიტექტურულ-მხატვრულ თავისებურებათა ზოგადი ანალიზი და შეფასება



ხელოვნებათმცოდნე: ქ. დარჩია

თბილისი
2014

ჩვენი საკვლევი ობიექტი – კ აფხაზის (ყოფ. ლესელიძის) II ჩიხი №9-ში განთავსებული შენობა თბილისის ერთ-ერთ უძველეს უბანში, კალაში მდებარეობს. კალა, რომელიც იმთავითვე ორი ნაწილისაგან – "ზემო" და "ქვემო" კალასაგან შედგებოდა, დღესაც ინარჩუნებს ისტორიულად ჩამოყალიბებულ ბუნებრივ ფარგლებს: აღმოსავლეთით მას მტკვარი ჩაუდის, ჩრდილოეთით ამჟამინდელი ნ. ბარათაშვილის ქუჩა, დასავლეთით თავისუფლების მოედნისა და შ. დადიანის ქუჩის ხაზი სოლოლაკის ქედამდე, სამხრეთით კი თავად ქედი. აღსანიშნავია, რომ სწორედ კოტე აფხაზის ქუჩა ასრულებდა ქვემო და ზემო კალას გამყოფის როლს, მასზე გადიოდა ქვემო კალას საზღვარი. (ძველად მას "შუა ბაზარი" ერქვა, ერთხანს ქურქის რიგსაც უწოდებდნენ, 1944 წლიდან კი კ. ლესელიძის სახელი დაერქვა და მხოლოდ უკანასკნელი რამდენიმე წელია, შეეცვალა სახელწოდება).



სურ. 1

ამგავარდ, კ. აფხაზის ქუჩა იმთავითვე კალაუბნის თავისებურ ხერხემალს წარმოადგენდა. მისი, როგორც ერთ-ერთი მთავარი, არტერიული ქუჩის როლზე მეტყველებს აქ არსებული საკულტო დანიშნულების ნაგებობები, უპირველესყოვლისა კი ერთმანეთის უშუალო სიახლოვეს მდგარი XVI საუკუნის ჯვრისმამისა და 1793 წლის, სომხურ-გრიგორიანული ეკლესია "ნორაშენი", 1805-1808 წლების კათოლიკური ეკლესია და 1905 წელს აგებული სინაგოგა.



სურ. 2



სურ. 3

კ. აფხაზის II ჩიხი №9-ში განთავსებული შენობა XIX საუკუნის მიწურულს, სავარაუდოდ, უკანასკნელ მეოთხედს განეკუთვნება და 1880-90-იან წლებში უნდა იყოს აგებული. ჩვენი საკვლევი ობიექტი წარმოადგენს რუსული “Т”-ს ფორმის ორსართულიან შენობას. ჩიხის მხარეს შენობა მცირე ზომის შიდა ეზოს სახით ეხსნება სივრცეს, რომლისგანაც აგურით ნაშენ მესერში (ამჟამად ძლიერ დაზიანებულია) დატანილი ხის ორფრთიანი კარი გამიჯნავს (სურ. 2, 3, 7). იმთავითვე უნდა ითქვას, რომ მძიმე ფიზიკურ მდგომარეობაში მყოფ შენობას შელახული აქვს თავდაპირველი სახე და, პრაქტიკულად, დაკარგული აქვს მხატვრულ-არქიტექტურული მახასიათებლები. XIX საუკუნისათვის დამახასიათებელი ძველთბილისური საცხოვრებელი სახლების ტრადიციის მსგავსად, მოცემული ნაგებობაც, თავის დროზე, ორივე სართულზე მოწყობილი ხის აივნებით იყო გახსნილი. მათი უმეტესობა დღეს კაპიტალურადაა ამოშენებული, გვიანდელი მინაშენებითაა დაფარული ან ხის შუშაბანდადაა გადაკეთებული. როგორც კარი, ისე მეორე სართულზე მიმავალი ხის კიბე, გვიანდელი ჩარევისას ახლითაა ჩანაცვლებული. თანამედროვე გადაკეთების შედეგია მცირე მინაშენი სახლის მარცხენა კიდეში, მეორე სართულზე და ასევე მეორე სართულის დონეზე მოწყობილი შუშაბანდი, რომელიც

ლითონის ხიმინჯებზე დგას და საერთო მასიდან მკვეთრად წინ არის გამოსული (სურ. 6). ასევე ახლადგაჩენილი უნდა იყოს ლითონის მოაჯირიანი მცირე ზომის ბაქანი ხის კიბესთან. საფიქრებელია, რომ კიბის უჯრედი თავდაპირველად პირველი სართულის პერიმეტრში იყო მოწყობილი შემდეგ კი ფართობის მოგების მიზნით, სახლის მაცხოვრებლებმა კიბე გარეთ გამოიტანეს, პირველი სართულის აივნის ნაწილი კი კაპიტალურად ამოაშენეს (სურ. 4). ამგვარად მოცემული ფასადი შენობის თავდაპირველი, ავთენტური სახის შენარჩუნების მხრივ, საკმაოდ არასახარბიელო სურათს გვიხატავს.



სურ. 4



სურ. 5

შეიძლება ითქვას, რომ შენობას, პრაქტიკულად, დაკარგული აქვს მხატვრულ-არქიტექტურული მახასიათებლები, ჩვენამდე მხოლოდ მცირე ფრამგენტების სახით მოაღწია ხეზე კვეთილმა ელემენტებმა: ხის მოხარატებულმა მოაჯირმა (სურ. 9), კუთხეებჩამოთლილმა ხის სვეტებმა (სურ. 8) და ხის კრონშტაინებიანმა დეკორირებულმა კარნიზმა (სურ. 4, 5).



სურ. 6



სურ. 7

ჩვენი საკვლევი ობიექტის უკანა ფასადი გრიგოლ ხანძთელის ქუჩის მხარეს ექცევა. მასზე ერთი შეხედვისთანავე ნათელი ხდება, რომ შენობა მრავალგზის გადაკეთებული და სახეცვლილია; პრაქტიკულად ყრუ, უფანჯრო კედელი (აქ არსებული ერთადერთი კარი გვიანდელია) ძველი ქართული აგურითაა ნაგები, თუმც გარკვეულ ფრაგმენტებში რუსული, ე.წ. ნიკოლოზის აგური ჩნდება (სურ. 10, 11). უკანა ეზოს მხარეს გამავალი კედლის უღიობოდ დატოვება მოწმობს, რომ იგი რაც შეიძლება ახლოს უნდა ყოფილიყო მიჯრილი მეზობელ ნაგებობასთან, რომელსაც, როგორც ჩანს, ჩვენამდე არ მოუღწევია. შენობა თავდაპირველად უფრო მჭიდრო განაშენიანებისათვის იყო განკუთვნილი და ნაგებობათა მწყობრ რიგში იდგა, ამდენად, გრიგოლ ხანძთელის ქუჩის მხარეს გამავალი ფრამგმენტის არსებობა არც იყო თავდაპირველად გათვალისწინებული, ჩვენი საკვლევი ობიექტს მხოლოდ ერთი, კ. აფხაზის ჩიხის მხარეს გამავალი ფასადი ჰქონდა, სახლის უკანა მხარე კი აქ არსებული შენობის დანგრევის შემდეგ "გაუშიშვლდა".



სურ. 8



სურ. 9

უნდა აღინიშნოს, რომ კ. აფხაზის II ჩიხი №9-ში განთავსებული ნაგებობა უმძიმეს ფიზიკურ მდგომარეობაშია, შენობა პრაქტიკულად, ამორტიზირებულია. სახლს თითქმის აღარ აქვს სახურავის ბურული, მეორე სართულზე მიმავალი ხის კიბე გადაფერდებულია და მოცილებულია კედელს, ხოლო ჩვენი საკვლევი ობიექტის მეზობელ შენობასთან მომიჯნავე კედელი მთლიანად ჩანგრეულია. განსაკუთრებით მძიმე სურათია ინტერიერში, სადაც მნახველს ჩაქცეული სართულშუა გადახურვა და დაბზარულ-გადაფერდებული კედლები ხვდება (სურ. 12, 13).



სურ. 10



სურ. 11



სურ. 12



სურ. 13

რეკომენდაცია

წარმოდგენილი პროექტით გათვალისწინებულია მოცემული ნაგებობის დემონტაჟი და მისი ახალი მოცულობით ჩანაცვლება, კერძოდ, მასთან უშუალოდ მომეზობლე ტერიტორიაზე, კ. აფხაზის ქ.№37-ში არსებული შენობის ადგილას მშენებარე სასტუმროს ნაგებობასთან არქიტექტურულ-გეგმარებითად დაკავშირება.

კ. აფხაზის II ჩიხი №9-ში განთავსებულ შენობას, როგორც კვლევამაც აჩვენა, პრაქტიკულად, დაკარგული აქვს მხატვრულ-არქიტექტურული მახასიათებლები, მოცემული უბნის განაშენიანებისათვის იგი ფონური მნიშვნელობის ნაგებობაა. ამდენად, მისი დემონტაჟი დასაშვებად გვესახება, მაგრამ საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ დიდი მნიშვნელობა აქვს მის ნაცვლად გაჩენილი მოცულობის მხატვრულ და გაბარიტულ გადაწყვეტას, მით უფრო, რომ პროექტის ავტორთა ჩანაფიქრით, იგი სასტუმროს მოზრდილი ნაგებობის ნაწილი შეიძლება გახდეს. შენობის ადგილმდებარეობიდან გამომდინარე, იგი ქალაქის ისტორიული ნაწილის სახელმწიფო დაცვის ზონაში განთავსდება, აუცილებელია, ახალი მოცულობის პროექტირებისას და მშენებლობისას გათვალისწინებულ იქნეს რიგი გარემოებებისა, რასაც ქვემოთ ზოგადი რეკომენდაციის სახით მოვიყვანთ.



სურ. 14

ახალი ნაგებობის მხატვრული სახის გადაწყვეტისას, პირველ რიგში, გასათვალისწინებელია მისი ადგილმდებარეობის „სპეციფიკურობა“, იგი კულტურული მემკვიდრეობის სტატუსის მატარებელი ძეგლებითა თუ ზოგადად ისტორული ურბანული მეხსიერებით დატვირთულ ტერიტორიაზე განთავსდება, შესაბამისად, ახალმა მოცულობამ ანგარიში უნდა გაუწიოს უბნის ისტორიულად ჩამოყალიბებულ არქიტექტურულ იერ-სახეს და უბნის საერთო ურბანულ კონტექსტში მის აღქმადობას, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ტერიტორია კ. აფხაზის ჩიხის მხარეს გამოდის, რის გამოც სიღრმეშია წანაცვლებული და ნაკლებად აღიქმება ლესელიძის ქუჩიდან. უბნის ისტორიულ ქსოვილში ჩანერგილ ახალ შენობას მოეთხოვება, იყოს ნაკლებად აქტიური და თვალშისაცემი, იყოს “ფონური”. ამდენად,

- ✓ ჩვენი კვლევის ობიექტის ადგილას გაჩენილმა ახალმა მოცულობამ სასტუმროს ნაგებობასთან კავშირისა და გეგმარებითი ბმის მიუხედავად, სასურველია, შეინარჩუნოს გარკვეული დამოუკიდებლობა, როგორც ერთიანი ორგანიზმის მცირე უჯრედმა;
- ✓ მნიშვნელოვანია მცირედად მაინც შენარჩუნდეს არსებული შენობის სივრცით-გეგმარებითი სტრუქტურა, ვგულისხმობთ შიდა ეზოს თავისუფალ სივრცეს.

ქ. თბილისში, კ. აფხაზის (ყოფ. ლესელიძის) ქ. №37-ში მდებარე შენობისა და მიმდებარე ტრიტორიის არქიტექტურულ-მხატვრულ თავისებურებათა ზოგადი ანალიზი და შეფასება



ხელოვნებათმცოდნე: ქ. დარჩია

თბილისი
2013

ჩვენი საკვლევი ობიექტი – კ აფხაზის (ყოფ. ლესელიძის) ქ. №37-ში განთავსებული თანამედროვე შენობა (1987 წლისა) თბილისის ერთ-ერთ უძველეს უბანში, შეიძლება ითქვას, ქალაქის ისტორიულ გულში მდებარეობს. წარმოდგენილი პროექტით გათვალისწინებულია მოცემული ნაგებობის დემონტაჟი და მისი ახალი მოცულობით ჩანაცვლება. რაკიღა თავად შენობა ნაკლებად წარმოადგენს ფასეულობას მხატვრულ-არქიტექტურული თვალსაზრისით, მის კვლევასა და დახასიათებას ნაგებობის ადგილმდებარეობის მნიშვნელობის გარკვევით დავიწყებთ, რისთვისაც უკანასკნელი საუკუნების მანძილზე თბილისის განვითარების მოკლე ისტორიულ ექსკურსს შევთავაზებთ მკითხველს.

უძველესი დროიდან თბილისი რამდენიმე განსაზღვრული უბნისაგან შედგებოდა. ქალაქის ძირითად ბირთვს ქმნიდა კალა და ისნი, რომლის ფარგლებშიც ვითარდებოდა ძირითადი ქალაქი. ჯერ კიდევ ვახუშტი ბატონიშვილი წერდა: "ხოლო ტფილისი არს სამი ქალაქი: ტფილისი, კალა, ისნი. ჰყოფს მტკვარი კალას, ტფილისს და ისნს: კალას უდის ჩრდილოით-აღმოსავლეთ, ტფილისს – ჩრდილოით და ისნს დასავლით". მოგვიანებით, 1807-1808 წლებში რუსი მოგზაური, კლაპროტი იმასვე წერს: "ტფილისი განიყოფება სამ ნაწილად: საკუთრივ ტფილისი ანუ ძველი ქალაქი, სადაც ცხელი აბანოებია, მტკვრის სამხრეთ-აღმოსავლეთით, უმნიშვნელო მცხოვრებთა რიცხვით; კალა ანუ ციხე, პირველი ნაწილის ჩრდილოეთით და მდინარის დასავლეთით, ქალაქის ყველაზე უფრო დასახლებული ნაწილი; დაბოლოს, გარეუბანი ისნი, რომელსაც ორი პირველი ნაწილისაგან ჰყოფს ერთადერთი ხიდი მდინარე მტკვარზე".

გვიანი ფეოდალური ხანის თბილისის წარმოსადგენად, წერილობითი ცნობებს გრაფიკული მასალაც ერთვის; მათ შორისაა ფრანგი მოგზაურის – შარდენის 1871 წლის ნახატი (სურ. 1) და ვახუშტი ბაგრატიონის მიერ 1735 წელს შედგენილი ქალაქის გეგმა (სურ. 3), რომელიც განსაკუთრებით მდიდარსა და მნიშვნელოვან მასალას გვაწვდის. გეგმაზე ნათლად ჩანს ქალაქის ხუროთმოძღვრული ღერძი – მტკვარი, რომლისკენაც იხსნება ქალაქის ადრევე ჩამოყალიბებული დომინანტები: მთის ფერდზე აღმართული ციტადელი, რომელსაც ვახუშტი მაღალ ციხეს უწოდებს, და მისგან მტკვრის მიმართულებით პარალელურად დაშვებული ციხის კედლები, რომლებიც ე.წ. დაბალ ციხეს შემოფარგლავენ. მის პირდაპირ,

მეორე ნაპირზე გალავნით შემოსაზღვრული მეტეხის ტაძარი დგას. “დაბალი ციხის გარშემოა დაჯგუფებული ქალაქის უმთავრესი ნაწილები: მდინარის დაღმა – ე.წ. სეიდაბადი, აღმა, ე.ი. ჩრდილოეთით – კალა, ქალაქის უმთვარესი ნაწილი. თბილისის ცენტრი უკვე ჩრდილოეთისაკენ ინაცვლებს: სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის შენობები – მეფის, დედოფლის, ბატონიშვილის სასახლეები, კათედრალი, ქარვასლები, მთავარი მოედნები, ეკლესიების უმეტესი ნაწილი – უკვე კალაშია” (ვ. ბერიძე).



სურ. 1. თბილისის პანორამა შარდენის წიგნიდან. 1671 წელი



სურ. 2. თბილისის პანორამა ტურნეფორის წიგნიდან. XVIII ს. დასაწყისი

ამგვარად, უკვე XVIII საუკუნის დასაწყისში კალა ქალაქის ცენტრს წარმოადგენს. ვ. ბერიძის აზრით, "ეს ახალი ცენტრი მეფის მოედანია, რომელიც მას შემდეგ უნდა შექმნილიყო, რაც ციტადელი სპარსელთა გარნიზონს გადაეცა და მეფემ თავისი რეზიდენცია აქ გადმოიტანა". ამის შესახებ ვახუშტი ბატონიშვილთან ვკითხულობთ: "არამედ დაუტევა 89-ე მეფემან როსტომ, ჩამოზღუდა კალა ციხიდამ ხიდის ყურამდე და მისცა სპარსთა. მიერითგან უპყრავთ მათ; და თავისი თავისთვის სამეფოდ აღაშენა სიონსა და ანჩისხატს შუა სასახლე მტკვრის გარდაკიდებით, ყიზილბაშთა რიგისა". მეფის სასახლის პირდაპირ მდებარეობდა ბაზარი, მოედნის (დღევანდელი ერეკლე II მოედანი) გარშემო იყო მაღაზიებიც; შესაბამისად, კალა ქალაქის სამეურნეო-საზოგადოებრივ ფუნქციასაც ითავსებდა და თავისებურ სავაჭრო ცენტრსაც წარმოადგენდა.



სურ. 3. თბილისის გეგმა შედგენილი ვახუშტი ბაგრატიონის მიერ. 1735 წ. ფრაგმენტი

კალას ქუჩების ქსელზე მკაფიო წარმოდგენას იძლევა XVIII საუკუნის ოთხმოციან წლებში და 1800 წელს შესრულებილი გეგმები. კალაში, მტკვრის პარალელურად მეტად მნიშვნელოვანი ქუჩათა სისტემა არსებობდა, რომელიც თბილისის ცენტრალურ "არტერიას" ქმნიდა და რომელიც ჯერ კიდევ V-VI საუკუნეებში ჩაისახა. იგი დღევანდელი

შავთელის, ერეკლე II-სა და სიონის ქუჩის ხაზზე გადიოდა. ქალაქის ერთ-ერთი კარიბჭე – "წყლისკარი" ამ არტერიის ბოლოს მდებარეობდა, იქ, სადაც ვახუშტი ბატონიშვილი ე.წ. "ქვემო კარს" აღნიშნავს. (თუმცა დროთა განმავლობაში "ქვემო კარი" კარგავს თავის მნიშვნელობას). ბატონის მოედანი ამ არტერიის ნაწილებს ფუნქციონალურად გამოყოფდა ერთმანეთისაგან. არტერიის ჩრდილოეთ მონაკვეთში, ანჩისხატისა და წყლისკარის ქუჩებზე, კათოლიკოსისა და ეპისკოპოსის ადგილსამყოფელი და სამეფო კარის სასახლეთა კომპლექსი განთავსდებოდა.



სურ. 5. თბილისის გეგმა. 1782 წელი

ამრიგად, VXIII-XIX საუკუნეების თბილისის დაგეგმარება ფეოდალური ქალაქის სტრუქტურას ინარჩუნებდა და მისთვის დამახასიათებელი ქუჩებისა და ქუჩაბანდების რთულ ხლართს წარმოადგენდა. XIX საუკუნის თბილისზე რამოდენიმე ისტორიული ცნობა მოიპოვება, რომელთა შორისაც ყველაზე მნიშვნელოვანია 1782, 1800, 1802 წლის გეგმები. მათზე თბილისის ზრდის თანდათანობითი ტენდენციები შეიმჩნევა, თუმც ჯერ ისევ უცვლელი რჩება ქალაქის ძველი ცენტრი – კალა, სეიდაბადი, ისნი და ძველი თბილისის ადრინდელი დომინანტები: ნარიყალა და მეტეხი.



სურ. 6. თბილისის გეგმა. 1800 წელი. ფრაგმენტი



სურ. 7. თბილისის გეგმა. 1800 წელი

აქვე უნდა ითქვას, რომ კალა, რომელიც იმთავითვე ორი ნაწილისაგან – "ზემო" და "ქვემო" კალასაგან შედგებოდა, დღესაც ინარჩუნებს ისტორიულად ჩამოყალიბებულ ბუნებრივ ფარგლებს:

აღმოსავლეთით მას მტკვარი ჩაუდის, ჩრდილოეთით ამჟამინდელი ნ. ბარათაშვილის ქუჩა, დასავლეთით თავისუფლების მოედნისა და შ. დადიანის ქუჩის ხაზი სოლოლაკის ქედამდე, სამხრეთით კი თავად ქედი. აღსანიშნავია, რომ ქვემო და ზემო კალას გამყოფის როლს ამჟამინდელი კოტე აფხაზის ქუჩა ასრულებდა (ძველად მას "შუა ბაზარი" ერქვა, ერთხანს ქურქის რიგსაც უწოდებდნენ,[1] 1944 წლიდან კი კ. ლესელიძის სახელი დაერქვა,), სწორედ მასზე გადიოდა ქვემო კალას საზღვარი.



სურ. 8

კ. აფხაზის ქუჩა იმთავითვე კალაუბნის თავისებურ ხერხემალს წარმოადგენდა. მისი, როგორც ერთ-ერთი მთავარი, არტერიული ქუჩის როლზე მეტყველებს აქ არსებული საკულტო დანიშნულების ნაგებობები, უპირველესყოვლისა კი ერთმანეთის უშუალო სიახლოვეს მდგარი XVI საუკუნის ჯვრისმამისა და 1793 წლის, სომხურ-გრიგორიანული ეკლესია "ნორაშენი", 1805-1808 წლების კათოლიკური ეკლესია და 1905 წელს აგებული სინაგოგა.[2]

[1] ო. ტყეშელაშვილი, "თბილისის ქუჩები", თბ., 1986

[2] ვეყრდნობით მ. მანიას მიერ მითითებულ თარიღს ("თბილისის არქიტექტურული გზამკვლევი", ზაარბრუკენი, 2004), თუმც თავად ნაგებობის შესასვლელი კარის თავზე ახლადმოწყობილ ტიმპანზე 1904 წელია მითითებული.

აქვეა, საკმაოდ მცირე ტერიტორიაზე კონცენტრირებული ქარვასლები (კ. აფხაზის ქ. №36, ერეკლე II ქ. №8/10, სიონის ქ. №8, სიონის ქ. №13), რაც ქალაქის მოცემული უბნის აქტიურ სავაჭრო-საზოგადოებრივ როლზეც მიუთითებს. ამასთან, ნიშანდობლივია, რომ მთელი რიგი გვიანდელი ცვლილებებისა და ჩარევების მიუხედავად, კ. აფხაზის ქუჩა, შეიძლება ითქვას, დღესაც ინარჩუნებს ისტორიულ იერ-სახეს და მხატვრულ-არქიტექტურულ მთლიანობას, რაც მეტ საბაბს გვაძლევს, მოცემული ქუჩის მნიშვნელობაზე ვისაუბროთ. სწორედ აქ, ზემოხსენებული ნაგებობების, სიახლოვეს განთავსდება ჩვენი კვლევის ობიექტიც, კ. აფხაზის ქ. №37-ში მდებარე შენობა (სურ. 9-18).



სურ. 9

ამგვარად, ჩვენი კვლევის ობიექტი ზემო და ქვემო კალას საზღვარზე, კალაუბნის მთავარ ხერხემალზე, ძველი ქალაქის ერთ-ერთ ყველაზე მრავალფუნქციურად დატვირთულ ნაწილში მდებარეობს. უბნის მნიშვნელობას მოცემულ ტერიტორიაზე არსებული კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსის მატარებელი ნაგებობების მაღალი კონცენტრაციაც მოწმობს (იხ. შესაბამისი თემატური რუკა. სურ.

8). თუმც თავად ჩვენი ობიექტი, რომელიც უბნის ისტორიულ ქსოვილში უხეშად ჩარევის ნიმუში უფროა, ნაკლებად გამოირჩევა მხატვრულ-არქიტექტურული ღირებულებით.

ცხადია, ჩვენთვის საინტერესოა, უშუალოდ მოცემული ტერიტორიის თავდაპირველი განაშენიანება. ძველი საარქივო ფოტოები, სამწუხაროდ, მხოლოდ ნაწილობრივ გვაძლევს ამის საშუალებას. ჩვენს მიერ მოძიებულ ფოტოთა ნაწილზე (1880-იანი წლებისა) ჯერ კიდევ არ ჩანს კ. აფხაზის ქ. №36-ში განთავსებული ძველი ქარვასლა (სურ.10-12), ნაწილზე კი იგი მშენებლობის პროცესშია (სურ.13-15). რამდენადაც ქ-ნი მაია მანიას კვლევის წყალობით გახდა ცნობილი, ქარვასლის მშენებლობა 1895 წელს დასრულებულა, აქედან გამომდინარე, ფოტოთა მეორე ჯგუფის უკიდურეს ქრონოლოგიურ ზღვრად ეს თარიღი უნდა მივიჩნიოთ. ნიშანდობლივია, რომ ყველა ხსენებულ ფოტოზე ჩვენი საკვლევი ობიექტის ადგილას რამდენიმე მცირე ზომის შენობა ჩანს. სამწუხაროდ, შორეული პანორამული ხედის ფოტოების ხარისხი, ზოგ შემთხვევაში კი რაკურსი, არ გვიწყობს ხელს, უკეთ გავარჩიოთ ნაგებობები; ცხადი, მხოლოდ ერთი რამაა, 1895 წლამდე ამ ტერიტორიაზე ერთიანი ნაგებობა ჯერ არ დგას, განაშენიანება ჯერ თითქოს "მოუწესრიგებელია".



სურ. 10. 1880-იანი წწ.



სურ. 11. 1880-იანი წწ.



სურ. 12. ფრაგმენტი ფოტოდან №11



სურ. 13. XIX ს-ის დასასრული (1895 წლამდე)



სურ. 14. XIX ს-ის დასასრული (1895 წლამდე)



სურ. 15. ფრაგმენტი ფოტოდან №14

სამაგიეროდ, უფრო გვიანდელ ფოტოზე, რომელიც დაბეჭდილია ჟურნალში "10 წელი საბჭოთა თბილისისა – 1921-1931", ქარვასლის გადასწვრივ, ჩვენს საკვლევ ტერიტორიაზე მკაფიოდ გაირჩევა მანამადე არ არსებული, ორსართულიანი აგურის შენობა შეკიდული ხის შუშაბანდით. სახლი ქუჩის მრუდს მიუყვება და მის სიღრმეში გრძელდება (სურ. 16). ამ შენობის ნახვა დღესაც შეუძლიათ კ. აფხაზის ქუჩაზე გამვლელთ (სამწუხაროდ, გაფოთლილმა ხეებმა არ მოგვცა საშუალება იმავე რაკურსით გადაგვეღო კარგი ხილვადობის ფოტო. (სურ. 17). სახლის იერ-სახემ მცირე ცვლილებები განიცადა: ხის შუშაბანდი შენობის გვერდით ფასადზეც გამოგრძელდა, შეიცვალა ხის ალათების ნახატი და მიმართება აგურის შიშვლად დატოვებულ წყობასა და შელესილ ნაწილებს შორის, კერძოდ, გაიზარდა ამ უკანასკნელის როლი ფასადზე.

პერიოდული გამოცემის სახელწოდებიდან გამომდინარე, ცხადია, რომ მოცემული საარქივო ფოტო ხსენებულ ქრონოლოგიურ საზღვრებში უნდა იყოს გადაღებული. ვფიქრობ, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ XIX საუკუნის მიწურულის ფოტოებზე არსებული რამდენიმე შენობის მაგიერ, XX საუკუნის პირველ მეოთხედში ამ ადგილას უკვე ერთი დიდი ან ორი

მომცრო ზომის ნაგებობა დგას, თუმც საარქივო ფოტოების სიმცირე მეტი კონკრეტიკის საშუალებას არ გვაძლევს.



სურ. 16. ლესელიძის ქუჩა. 1921-1931 წწ.





სურ. 17. ლესელიძის (ამჟამინდელი კ. აფხაზის) ქუჩა. 2013 წ.

კ. აფხაზის ქ. №37-ში მდებარე შენობა, პირველადი ფუნქციით სტომატოლოგიური პოლიკლინიკა, აგებულია 1987 წელს (პროექტის ავტორი: არქ. ნოდარ ქვათელაძე). იგი 1980-იან წლებში თბილისის ძველ უბნებში ჩატარებული ფართომასშტაბიანი სარეკონსტრუქციო-სარესტავრაციო სამუშაოების პარალელურად თუ მის თანამდევად წარმოებული ახალმშენებლობის ტალღაში ექცევა.



სურ. 18



სურ. 19

შენობა წარმოადგენს ქუჩის გასწვრივ გაწელილ, ჩრდილოეთ-სამხრეთ ღერძზე დაგრძელებულ, გეგმით სწორკუთხა რკინა-ბეტონის კარკასულ ნაგებობას, რომლის კედლები დიდი ზომის, საბჭოთა ქარხნული აგურითაა ამოყვანილი. სწორკუთხა გეგმარების მიუხედავად, ტერასული პრინციპით გადაწყვეტილი შენობის მრავალგვარად დასახსრულ-დანაწევრებული მოცულობა საკმაოდ რთულ სტრუქტურას იძენს. კ. აფხაზის ქუჩის მხარეს გამავალი მთავარი ფასადი ერთიანად დატეხილი და "დახლეჩილია". შენობის ცალი მხარე (კერძოდ, მარცხენა ფლიგელი), შეიძლება ითქვას, ნახევრად ჰაერშია გამოკიდული, რადგან მეორე სართულის დონეზე შენობა უკანა ეზოს მხარეს იხსნება, მესამე სართული კი რკინა-ბეტონის ხიმინჯებს ეყრდნობა (სურ. 9). ქუჩის წითელი ხაზიდან უკან წანაცვლებული შენობის გარკვეული ფრაგმენტები წინ გამოდის, მაგალითად კიბე, მასზე მიდგმული მოცულობა, თუ შენობის მესამე სართულის დონეზე მოწყობილი კუთხის ნაწილები (შვერილი ფრაგმენტები სრულად ჯდება საერთო აბრისსა და ქუჩის წითელი ხაზების დასაშვებ ნორმებში (სურ.9,18-22). განსხვავებულია შენობის სართულიანობაც – ცენტრალური ნაწილი ოთხსართულიანია, განაპირა კი სამი. ამასთან,

შენობის პირველი სართული მიწის დონიდან ოდნავ ქვემოთ განთავსდება (დაახლოებით 1 მ.), რის გამოც იგი "ნახევარსართულის" სახით გამოდის ფასადზე.



სურ. 20



სურ. 21

შენობის ფასადის სხვადასხვა სიღრმესა თუ დონეზე განთავსებულ შვერილ ელემენტებს შორის ყველაზე მეტად თვალშისაცემი გარეთ მოწყობილი კიბის უჯრედია; იგი დიაგონალურ-ზიგზაგისებური მიმართულებით თითქმის მთელ სიგრძეზე გასდევს ფასადს. კიბეს აქვს ღია და დახურული ნაწილი, რომელიც საფეხურეობრივად დალაგებული მოგრძო ღიობების ხშირი რიტმით დანაწევრებულ ვაგონს წააგავს. შენობის ფასადზე გამოტანილი, ზიგზაგისებური კიბის მოტივი პარიზის ჟორჟ პომპიდუს სახელობის ხელოვნების ცენტრის ცნობილ ნაგებობასთან იწვევს ასოციაციას. როგორც ჩანს, ავტორს სურდა, ქალაქის ისტორიული არქიტექტურული სახისათვის უჩვეულო შენობისთვის, კიდევ უფრო თამამი, თანამედროვე იერი მიეცა, რისთვისაც, სავარაუდოდ, გააზრებულად

მიმართა რენცო პიანოს[3] ე.წ. high-tech-ის სტილში შესრულებული ნაგებობის ერთგვარ რეპლიკას. თუმც, სამართლიანობა მოითხოვს, ვაღიაროთ, რომ მოცემული ნაგებობა შორს არის და მხატვრულ-არქიტექტურული დონით დიდად ჩამოუვარდება საკუთარ პროტოტიპსა თუ შთაგონების ობიექტს.



სურ. 22



სურ. 23

კ. აფხაზის ქ.№37-ში მდებარე შენობა მოკლებულია მხატვრულ მთლიანობას; სხვადასხვა სივრცით-მოცულობითი ელემენტებით გადატვირთული ფასადი არაორაგიზებული და ზედმეტად აქტიურია. ფასადის ზღვარგადასული დასახსრულობა, მოცულობების თამაშით გააქტიურებული კედლის პლასტიკა, განსხვავებული მასალები (აგური, ლითონი), საბჭოთა ქარხნული აგურის უხეში, ხელოვნური და ტლანქი წყობა (სურ. 23), კედლის შელესილი და შეულესავი ნაწილების თანაარსებობა (სურ. 19-22) – ყველაფერი ეს განაპირობებს ნაგებობის ქაოსურ, მხატვრულ-არქიტექტურულად გაუმართავ იერს. ფასადის ნაწილის გახსნითა და განსხვავებული სართულიანობის გზით შენობის საერთო მასისა და მოცულობის შემცირების მცდელობის მიუხედავად, ნაგებობა

[3] პროექტის ავტორებად ასევე ითვლებიან ბრიტანელი არქიტექტორი, რიჩარდ როჯერსი და იტალიელი არქიტექტორი, ჯანფრანკო ფრანკინი.

მაინც იქცევს ყურადღებას და ზედმეტად მჟღერ აკორდად გვიჩანს ქუჩის განაშენიანებაში. მოცემული ტერიტორიის ერთგვარ "პრეტენზიულობასა" და განსაკუთრებული ფაქიზი მიდგომის აუცილებლობას განაპირობებს ჩვენი კვლევის ობიექტის მოპირდაპირედ მდგარი, ზემოთ ერთხელ უკვე ნახსენები, 1895 წლის ქარვასლა, რომელიც, კულტურული ფასეულობის თვალსაზრისით, კ. აფხაზის ქუჩის ერთ-ერთ გამორჩეული ნაგებობაა.[4] (სურ. 24).



სურ. 24

XIX საუკუნის დასასრულს, ისლამური არქიტექტურის ელემენტების გამოყენებით შექმნილი ქარვასლის შენობა, ქუჩის პარალელურად რიტმულად განვითარებული მოცულობითა და დიდრონ სარკმელთა მასთან თანხმიერი, თანაბარზომიერი რიტმით, მაშინვე იქცევს ყურადღებას. ასეთი

[4] მოცემულ შენობაზე 2009-2011 წლებში წარმოებული სარესტავრაციო-სარეაბილიტაციო სამუშაოები უკანასკნელი ორი წელია გაჩერებულია. ძეგლზე ჩატარებულმა სამუშაოებმა დადებითთან ერთად (მოხდა ნაგებობის კონსტრუქციული გამაგრება) უარყოფითი ზეგავლენაც იქონია; ვგულისხმობთ, შენობის თავზე მოწყობილ დაშენებას, რომელიც უხეშად ჩაერია ისტორიული შენობის არქიტექტურულ მოცემულობაში, დაამცრო და დააკნინა ნაგებობა, შეუცვალა საერთო მასშტაბი და პროპორცია.

მაღალი მხატვრული დონის შენობასთან უშუალო მეზობლობა იმთავითვე განსაკუთრებულ მდგომარეობაში აყენებდა ჩვენი კვლევის ობიექტს და მეტ მოთხოვნებს უყენებდა მას. უბნის ისტორიულ ქსოვილში ჩანერგილ ახალ შენობას მოეთხოვებოდა, ყოფილიყო ნაკლებად აქტიური და თვალშისაცემი, ყოფილიყო უფრო "ფონური" და ქუჩის ძირითად ისტორიულ ნარატივს დაქვემდებარებული. ამის სანაცვლოდ მივიღეთ არქიტექტურულ-კომპოზიციური ელემენტებით გადატვირთული, "ფაქტურულად" ჭრელი და სივრცით-მოცულობითად ცუდად ორგანიზებული შენობა, რომელიც სასურველზე მეტად აქტიური და თვალშისაცემი გამოდგა.



სურ. 25



სურ. 26

ჩვენი საკვლევი ობიექტის ეზოს მხარეს გამავალი ფასადი დაუმთავრებელის შთაბეჭდილებას ტოვებს, თუმც შედარებით მეტი თავშეკავებულობით ხასიათდება. შენობის ცალი მხარე არაფრით ნიღბავს რკინა-ბეტონის კარკასსა და ბლოკით ამოყვანილ კედელს (სურ. 25), მეორე ნაწილი კი თითქმის ყრუ აგურის კედლის წაგრძელებული მოცულობას წარმოადგენს, რომელიც ერთიანი, ლენტური პრინციპის ღიობით იხსნება (სურ.25,26). შენობა მოცემულ მხარესაც განსხვავებული სართულიანობისაა; სხვადასხვა დონეზე განთავსებული თითოეული სართულის ბრტყელი გადახურვა ღია ტერასას ემსგავსება. სახურავიდან მშვენიერი ხედი იშლება ქალაქის უძველეს ისტორიულ უბნებზე. სახლი სიგრძეში წაგრძელებულ, სწორკუთხა ეზოს გადაჰყურებს (სურ. 27, 28).

კ. აფხაზის ქ.№37-ში მდებარე შენობას ეზოს მხრიდან ემიჯნება გრ. ხანძთელის ქუჩის განაშენიანება, რომელსაც მისი უდაო სიძველის

მიუხედავად, დღესდღეობით, პრაქტიკულად, დაკარგული აქვს პირვანდელი იერ-სახე. გვიანდელი მინაშენებითა და ამოშენებებით სრულიად დამახინჯებულ, ურბანულად გადაგვარებულ ფასადზე აქა-იქ საბრალისადაა „გამოჭყლეტილი“ XIX საუკუნის მეორე ნახევრისა თუ დასასრულის კედლის ფრაგმენტი (სურ. 30) და ხის მრავალმარშიანი კიბე – თბილისური საცხოვრებელი სახლის ტრადიციული ელემენტი (სურ. 31).



სურ. 27



სურ. 28



სურ. 29



სურ. 30

სამაგიერდ, გაცილებით უკეთაა შემონახული კ. აფხაზის ქ. №39-ში მდებარე შენობა, რომელიც არქიტექტურული კომპოზიციით, ძველი ქართული აგურის კედლის, ღრმა ნიშებით დანაწევრებული წყობით, ხის

აივნების სისტემითა და სხვა მცირე არქიტექტურული ელემენტების გათვალისწინებით, საბაბს გვაძლეს იგი XIX საუკუნის მეორე ნახევრით დავათარიღოთ (სურ. 33, 34).



სურ. 31



სურ. 32



სურ. 33



სურ. 34

რეკომენდაცია

კ. აფხაზის ქ.№37-ში მდებარე შენობა, როგორც უკვე ვისაუბრეთ ზემოთ (გვ. 16-18), არ გამოირჩევა მხატვრულ-არქიტექტურული ღირებულებებით.

იგი, მსგავსად XX საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში აგებულ ნაგებობათა თითქმის აბსოლუტური უმრავლესობა, უბნის ისტორიულ განაშენიანებასთან არათავსებადი მასშტაბით ხასიათდება, მისი სივრცით-მოცულობითი კომპოზიცია და საფასადო გადაწყვეტა კი საკმარისად აცდენილია მის სიახლოვეს არსებულ ისტორიულ ნაგებობათა მხატვრულ სახესთან. ამასთან, შენობა უკანასკნელი ათეული წელია აღარ არის ექსპლუატაციაში და, პრაქტიკულად, გამოუყენებელია. ხანგრძლივი მოუვლელობის გამო იგი, ბოლო პერიოდია, ანტისანიტარიის ბუდედაა ქცეული. ამდენად, მისი დემონტაჟი სრულიად დასაშვებად გვესახება. მის ნაცვლად გაჩენილი ახალი მოცულობა საშუალებას გვაძლევს, გამოსწორდეს ჩვენი კვლევის ობიექტის შემთხვევაში დაშვებული „შეცდომები“. შენობის ადგილმდებარეობიდან გამომდინარე – იგი განთავსდება ქალაქის ისტორიული ნაწილის სახელმწიფო დაცვის ზონაში – აუცილებელია, ახალი შენობის მხატვრული სახის გადაწყვეტასა და მშენებლობისას გათვალისწინებულ იქნეს რიგი გარემოებებისა, რასაც ქვემოთ ზოგადი რეკომენდაციის სახით მოვიყვანთ.

ახალი ნაგებობის მხატვრული სახის გადაწყვეტისას, პირველ რიგში, გასათვალისწინებელია მისი ადგილმდებარეობის „სპეციფიკურობა“, იგი კულტურული მემკვიდრეობის სტატუსის მატარებელი ძეგლებითა თუ ზოგადად ისტორული ურბანული მეხსიერებით დატვირთულ ტერიტორიაზე განთავსდება, შესაბამისად, ახალმა მოცულობამ ანგარიში უნდა გაუწიოს უბნის ისტორიულად ჩამოყალიბებულ არქიტექტურულ იერ-სახეს და უბნის საერთო ურბანულ კონტექსტში მის აღქმადობას. უბნის ისტორიულ ქსოვილში ჩანერგილ ახალ შენობას მოეთხოვება, იყოს ნაკლებად აქტიური და თვალშისაცემი, იყოს “ფონური”. ამდენად,

- ✓ ახალი ნაგებობის სართულიანობა არ უნდა ასცდეს არსებული შენობისას და იმავე მოცულობაში უნდა ჩაჯდეს, რათა ახალი შენობა არ იქცეს ზედმეტად აქტიურ, აგრესიულ არქიტექტურულ დომინანტად;
- ✓ არსებული სამშენებლო ტერიტორიის ზომებიდან გამომდინარე, სასურველია, ახალი ნაგებობა ერთიანი, დაუნაწევრებელი ბლოკური მოცულობის მაგიერ, მცირედად მაინც დასახსრულ (თუმც, ცხადია, არა ზედმეტად დაქუცმაცებულ) სხეულს ქმნიდეს. ეს, ერთი მხრივ,

ხელს შეუწყობს შენობის საერთო მასის შემსუბუქებას, მეორე მხრივ კი ფასადთა რიტმული მრავალფეროვნების შთაბეჭდილების შექმნას. თუმც, ვფიქრობ, გათვალისწინებულ უნდა იქნას ჩვენი კვლევის ობიექტის შემთხვევაში დაშვებული შეცდომები (არქიტექტურულ-კომპოზიციური ელემენტებით გადატვირთულობა, "ფაქტურული" სიჭრელე და სივრცით-მოცულობითი თვალსაზრისით ცუდი ორგანიზებულობა).

- ✓ შენობის ფასადის გადაწყვეტისას, სასურველია, ყურადღება მიექცეს მის სიახლოვეს მდებარე ისტორიულ ნაგებობებს, განსაკუთრებით ძველ ქარვასლას, რათა ახალი მოცულობა შესაბამისობაში მოვიდეს უბნის ისტორიულ სახესთან, თუმცა, ცხადია, არ ვგულისხმობთ თბილისური სახლისა თუ XIX საუკუნის საზოგადოებრივი ნაგებობის არქიტექტურული ფორმებისა და პლასტიკური შემკულობის (ხის აივნები, კრამიტის გადახურვა, ძველი ქართული აგურის წყობა და სხვ.) ხელოვნურ, დღეისათვის "ატავისტურ" ელემენტთა უკონტექსტო გამოყენებას.